საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) დაემატოს 332 [1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 332 [1] . დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესის შეცვლასთან დაკავშირებით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძველი

1. ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-7 ნაწილი იწვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. ამ კოდექსის 311-ე მუხლის დებულებათა მიუხედავად, ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა შესაძლებელია 2013 წლის 1 აპრილამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მ . სააკაშვილი